პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 176 (9644) | სამშაბათი, 28 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მალენკოვის მისალმება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ კიმ ირ სენს (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგ ვ. მოლოტოვის მისალმება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამხანაგ ლი დონ გენს (1-ლი გვერდი).

კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია — „პრავდის“ 26 ივლისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე (1-ლი გვერდი).

პარტიის მეორე ყრილობის 50 წლისთავის წინ (1-ლი გვერდი).

პოლიტიკური აგიტაციის გამოცდილებისა. ვ. შავგულიძე. — საველე აგიტპუნქტი (მე-2 გვერდი).

უცხოეთის პრესის გამოხმაურება „პრავდის“ მოწინავე სტატიაზე „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია

„პრავდის“ 26 ივლისის მოწინავე

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თეზისები „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“.

ამ დოკუმენტში მოკლედ გაშუქებულია ნახევარი საუკუნის გმირული გზა, რომელიც ჩვენმა პარტიამ განვლო მისი დაარსების მომენტიდან რსდმპ მეორე ყრილობაზე, რომელიც გაიხსნა 1903 წლის 30 ივლისს. მეორე ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის მებრძოლ, რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას, ახალი ტიპის პარტიას, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან. „ბოლშევიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან არსებობს“.

მეორე ყრილობაზე, აღნიშნულია თეზისებში, წარმატებით დაგვირგვინდა ლენინის ჭეშმარიტად ტიტანური ბრძოლა რუსეთში რევოლუციური პროლეტარული პარტიის შექმნისათვის. მრავალი წლის მანძილზე, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგიდან ვ. ი. ლენინმა, რომელიც გამოვიდა როგორც მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ერთგული მიმდევარი, შემოქმედებითად განავითარა რა მარქსიზმი ახალ ისტორიულ პირობებში, ულმობელი ბრძოლა გააჩაღა მარქსიზმის აშკარა და ფარული ტრეების წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, პროლეტარიატის ძალების ორგანიზებისა და რევოლუციური მარქსიზმის დროშის ქვეშ დარაზმვისათვის.

დიდმა ლენინმა პირველმა მარქსიზმის ისტორიაში შეიმუშავა მოძღვრება პარტიის, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელი ორგანიზაციის, როგორც მუშათა კლასის ხელში ძირითადი იარაღის შესახებ, ურომლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ხოლო ჩვენს დროში — კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. პარტია არის მუშათა კლასის მოწინავე, ორგანიზებული რაზმი, მარქსისტული თეორიით, საზოგადოების განვითარების კანონების, კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნით, რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებით შეიარაღებული.

ბოლშევიკურმა პარტიამ ჩვენი ხალხი მიიყვანა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, მოაწყო პროლეტარიატის დიქტატურა, შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები, უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება და მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი წინ, კომუნიზმისაკენ.

კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებლისა და ბრძენი ბელადის ლენინის სახელი განუყოფელად არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის მთელ ისტორიასთან, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმოშობასა და განვითარებასთან. ლენინის სახელი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დროშა გახდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

თავისი მოღვაწეობის დაწყებიდანვე კომუნისტების პარტიამ მაღლა აღმართა მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის დროშა. მან ეს დროშა გამოატარა რუსეთის სამი რევოლუციის ქარიშხლებში. პარტია განმტკიცდა და გამოიწრთო მემამულეების, კაპიტალისტების, კულაკების, მუშათა მოძრაობაში მათი აგენტურის — ესერების, მენშევიკების, ანარქისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ გაფთრებულ ბრძოლაში. მაღლა ეჭირა რა ლენინიზმის დროშა და იცავდა რა თავისი რიგების ფოლადისებურ ერთიანობას, ჩვენმა პარტიამ გაანადგურა გამცემლები და კაპიტულანტები — ტროცკისტები, ბუხარინელები, ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ მუშათა კლასი ლენინური გზიდან.

„პრავდის“ 26 ივლისის მოწინავე

კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიცვა ლენინიზმი ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და დაადგა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მტკიცე კურსს. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა ხალხმა, სძლევდა რა უდიდეს სიძნელეებს, წარმატებით განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმა, რომელიც შემუშავებული იყო პარტიის მიერ. ამ გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენმა სამშობლომ გაიკეთა გიგანტური ნახტომი წინ, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები, სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. საბჭოთა ხალხმა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ისტორიაში პირველმა ააშენა ახალი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილია მძლავრი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უძლეველი ცხოველმყოფელი ძალა მკაფიოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. კომუნისტური პარტია გამოვიდა როგორც ფაშიტს დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, მიიყვანა საბჭოთა ხალხი მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

ომისშემდგომ წლებში კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებულმა და დარაზმულმა სსრ კავშირის მშრომელებმა უმაგალითოდ მოკლე ვადაში მოიშუშეს მძიმე ჭრილობები, რომლებიც ომმა მიაყენა ჩვენს ქვეყანას, აღადგინეს და წინ წასწიეს სოციალისტური ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგი.

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ, რომელიც 1952 წლის ოქტომბერში გაიმართა, შეაჯამა საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი შედეგები და დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის პროგრამა.

ახლა კომუნისტური პარტია წარმატებით წყვეტს კომუნიზმის მშენებლობის, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

საშინაო პოლიტიკის დარგში პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია კვლავაც დაუცხრომლად იზრუნოს საბჭოთა ადამიანების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მთელი საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის ზრუნვა კანონია ჩვენი პარტიისათვის. საგარეო პოლიტიკის დარგში პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობისა და ურთიერთინტერესთა დაცვის პრინციპებზე მათთან საქმიანი კავშირის განვითარების პოლიტიკას.

პარტიას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომი განმტკიცება, დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და სოლიდარობის შემდგომი განმტკიცება.

კომუნისტური პარტია წარმატებით ასრულებს ხალხთა მასების ბელადისა და ორგანიზატორის როლს იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს მებრძოლ კავშირს თანამოაზრე კომუნისტებისას, რომლებიც დარაზმული არიან შეხედულებათა ერთიანობით, მოქმედებისა და დისციპლინის ერთიანობით. კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია ხალხისადმი, მშრომელთა რევოლუციური ენერგიისადმი ღრმა რწმენით. პარტიის ძალაა მისი ურღვევი კავშირი ხალხთან. ხალხის ძალაა მისი დარაზმულობა პარტიის გარშემო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოთა წყობილების სიმტკიცისა და ურღვეობის, ჩვენი ხალხის ყველა წარმატების გადამწყვეტი პირობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნახევარი საუკუნის ისტორიამ ცხადყო ლენინის მიერ შემუშავებული პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების უდიდესი მნიშვნელობა. პარტია გვასწავლის განუხრელად ვახორციელებდეთ პარტიული მშენებლობის ამ კანონებს, სასტიკად ვიცავდეთ პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლეს პრინციპს — ხელმძღვანელობის კოლექტიურობას, პარტიის წესდების მოთხოვნებს. პარტია ემყარება იმას, რომ მხოლოდ კოლექტიური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერულ საფუძველს და ხელმძღვანელი კადრების ფართო ინიციატივას, უზრუნველყოფს პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი ხელმძღვანელობის სისწორეს, პარტიის რიგების ურყევ ერთიანობასა და დარაზმულობას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებითს მშენებლობას. პარტიული ხელმძღვანელობის, კადრებისა და მასების სწორი აღზრდის ნაცადი მეთოდია კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა. მარქსისტულ-ლენინური თეორია არის არა დოგმა, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის. ამიტომ პარტია კომუნისტებისაგან მოითხოვს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ხასიათის გაგებას, არა ცალკე ფორმულირებებისა და ციტატების შეთვისებას, არამედ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე, მსოფლიოს გარდამქმნელი რევოლუციური მოძღვრების არსის შეთვისებას.

თავის წმიდა მოვალეობად პარტიას მიაჩნია მშრომელთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით.

ეგებებიან რა რსდმპ მეორე ყრილობის გახსნის ორმოცდამეათე წლისთავს, ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გააჩაღონ პროპაგანდისტული მუშაობა, რათა შეისწავლონ დოკუმენტი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“. საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა მოაწყონ პარტიულ აქტივებსა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ლექციები, მოხსენებები და საუბრები რსდმპ მეორე ყრილობის ორმოცდამეათე წლისთავის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ნახევარი საუკუნის მანძილზე გმირული ბრძოლის, ძნელი განსაცდელისა და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სახელოვანი გზა განვლო. გენიალური ლენინის, ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინისა და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით ბრძოლებში გამოწრთობილი ჩვენი კომუნისტური პარტია ახლა არის წამყვანი, ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა საბჭოთა საზოგადოებისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს.

კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია მოასწავებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე მოძღვრების გამარჯვებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმდიდრესი ისტორიული გამოცდილება შთამაგონებელი მაგალითია ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის მათს ბრძოლაში საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის.

ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღების გეგმა შეასრულეს

საქართველოს კ. პ. სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ი. მესხიშვილი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. ბიძინაშვილი იტყობინებიან, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა 24 ივლისისათვის შეასრულეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ კიმ ირ სენს

ცნობამ დაზავების ხელმოწერის შესახებ დიდი კმაყოფილება გამოიწვია მთელ საბჭოთა ხალხში, რომელსაც დაზავების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება მიაჩნია როგორც გმირი კორეელი ხალხისა და მამაც ჩინელ სახალხო მოხალისეთა დიდი გამარჯვება.

შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ ამავე დროს წარმოადგენს მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის დიდ გამარჯვებას.

ომის შეწყვეტის შემდეგ კორეელი ხალხის წინაშე ისახება კორეის სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობის აღდგენის ამოცანები და ამასთან ერთად კორეელი ხალხისათვის თავსმოხვეული ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანები.

სსრ კავშირის მთავრობა წარმატებას უსურვებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ამ დიდი და გადაუდებელი ამოცანების გადაჭრაში და გამოთქვამს მზადყოფნას მთელი შესაძლო დახმარება აღმოუჩინოს განაწამებ კორეელ ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების მოწყობასა და იმ მძიმე ჭრილობების მოშუშებაში, რომლებიც გამოიწვია თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სისხლისმღვრელმა ომმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მალენკოვი.

მოსკოვი, 1953 წლის 27 ივლისი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამხანაგ ლი დონ გენს

დაზავების ხელმოწერა და კორეელი ხალხისათვის თავსმოხვეული ომის დამთავრება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და თავდადებულ ჩინელ სახალხო მოხალისეთა დიდი გამარჯვებაა და, ამასთან ერთად მშვიდობის დემოკრატიული ბანაკის უდიდესი წარმატებაა.

გმირი კორეელი ხალხი, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად, ახლა შეძლებს შეუდგეს თავისი სამშობლოს ერთიანობის აღდგენის ამოცანის გადაჭრას, დაზარალებული ქალაქებისა და სოფლების აღდგენას, კორეის სახალხო მეურნეობის აღმავლობას.

ყოველივე ამაში კორეელი ხალხისათვის უზრუნველყოფილია საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერა და დახმარება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მოლოტოვი.

მოსკოვი, 1953 წლის 27 ივლისი.

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

საზეიმო სხდომები მოსკოვსა და თბილისში

25 ივლისს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი. სხდომა გახსნა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ს. ჟელტოვმა.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ფლოტის ადმირალმა ნ. გ. კუზნეცოვმა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პროხოროვმა და საკავშირო ალკა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დავიდოვმა. მათ სამხედრო მეზღვაურებს მიულოცეს დღესასწაული და უსურვეს წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

• • •

25 ივლისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი.

სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. გეგეშიძემ. საბჭოთა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ მოხსენება გააკეთა კონტრ-ადმირალმა ნ. ნოვიკოვმა.

მოსკოვი

26 ივლისს მოსკოვის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს სამხედრო მეზღვაურთა ტრადიციული დღესასწაული — სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.

საწარმოებში, სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო სასწავლებლებში გაიმართა მოხსენებანი, ლექციები და საუბრები საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალების სახელოვანი ისტორიის შესახებ.

ბევრი ხალხი იყო ხიმკის წყალსაცავთან. აქ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების წყალჯომარდობის სადგურში გაიმართა წყალჯომარდობის დღესასწაული.

ასი ათასზე მეტმა მოსკოველმა მიიღო მონაწილეობა მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მოწყობილ სახალხო სეირნობაში.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაულის დღეს მოსკოვის მშრომელებმა გამოხატეს თავიანთი მხურვალე სიყვარული ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრების ერთგული გუშაგებისადმი, რომლებიც ფხიზლად იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას.

ლენინგრადი

ქალაქის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.

დღის 12 საათზე ხომალდების არტილერიის ზალპმა აცნობა მოსახლეობას სამხედრო-საზღვაო პარადის დაწყება.

პარადის შემდეგ დღესასწაული გადატანილ იქნა ს. მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. შუა ნევკაზე გაიმართა სპორტსმენთა შეჯიბრება და მეზღვაურთა მასობრივი მწყობრად ცურვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათას ორასმა კაცმა.

სევასტოპოლი

სადღესასწაულოდ მორთულია გმირი ქალაქი. შეწყობილად მოისმის გემების სიაათების რეკა. გემების პირადი შემადგენლობა ჩამწკრივდა გემბანებზე. გაისმის ბრძანება: „სმენა!“ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის გუგუნში ყველა გემზე საზეიმოდ აღიმართა ალმები და საზღვაო ტრადიციის მიხედვით ფერად-ფერადი ალმები.

საზღვაო პარადის შემდეგ წყალჯომარდობის სადგურში დაიწყო დღესასწაული. შავი ზღვის ფლოტის და ქალაქ სევასტოპოლის უძლიერესი მცურავები აწყობენ საჩვენებელ ცურვას სხვადასხვა დისტანციაზე. შუშხუნის სიგნალზე მიცემულ იქნა ტრადიციული ვარსკვლავური ცურვის სტარტი. წყალჯომარდობის სადგურის სხვადასხვა მხრიდან მოცურავს მრავალი ათასი მატროსი. ნაპირზე მყოფი მაყურებლები წითელ ტილოებზე კითხულობენ: „გაუმარჯოს ჩვენს მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!“, „სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმიდა მოვალეობაა“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“.

პარტიის მეორე ყრილოგის 50 წლისთავის წინ

მშრომელთა დიდი ინტერესი თეზისებისადმი — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი“.

თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელები, პარტიულები და უპარტიოები, დიდი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს—ენგელს—ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თეზისებს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“. „სოიუზპეჩატის“ კიოსკებთან და გაზეთის ვიტრინებთან მრავალი ათასი ადამიანი შეიკრიბა, რათა გაცნობოდნენ თეზისებს, რომლებიც კვირის გაზეთებშია გამოქვეყნებული.

გუშინ დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში ათასობით აგიტატორმა გამართა საუბარი და მოაწყო გაზეთების ხმამაღალი კითხვა. ეწყობა მასობრივი ექსკურსიები ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში.

თეზისები, რომლებშიც განზოგადებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის შექმნიდან დღემდე მიღწეული წარმატებანი, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალმა მუშამ, ჯერ კიდევ დილით რადიოთი მოისმინა. შესვენებისას კი საამქროებსა და ცვლებში აგიტატორებმა მოაწყეს საუბრები.

ორთქლმავლების ამწყობ საამქროში საუბარი გამართა სტახანოველმა მექანიკოსმა, აგიტატორმა ი. მაჩაიძემ.

— დიდი ლენინის მიერ შექმნილმა და გამოჭედილმა ბოლშევიკურმა პარტიამ, — თქვა მან, — 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ხალხი, მოაწყო პროლეტარიატის დიქტატურა, უზრუნველყო სოციალიზმის აშენება და მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი წინ, კომუნიზმისაკენ. კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული მუშის, საამქროს და მთლიანად ქარხნის მაღალნაყოფიერ მუშაობას. ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა თავდადებით ვიმუშაოთ, პირნათლად შევასრულოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ამით დავაჩქაროთ სანუკვარი მიზნის — კომუნიზმის აშენება.

გუშინ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ქარხნის ორთქლმავლების ამწყობი, სამგზავრო-სავაგონო და მექანიკური საამქროების მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყეს ექსკურსია ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიად რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების გასაცნობად.

მოეწყობა ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903-1953)“.

ქვანახშირის მრეწველობის „ოქროს ფონდი“

წელს მეშახტის დღისათვის მზადების აღსანიშნავად სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადეს გამოგონებათა, ტექნიკურ გაუმჯობესებათა, რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვებისა და წარმოებაში დანერგვის კონკურს-დათვალიერების ორთვიური, რომელიც 1 სექტემბრამდე გასტანს.

კონკურს-დათვალიერების მიზანია სამთო ტექნიკის უკეთესად გამოყენება, შახტებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გაფართოება, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ახალი გზებისა და საშუალებების გამონახვა, ე. ი. მეშახტე რაციონალიზატორების—მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების შემოქმედებითი აზრის ამოძრავება და წარმართვა ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

რაციონალიზატორთა და მუშა-გამომგონებელთა შემოქმედებითი ინიციატივის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში პარტია და საბჭოთა მთავრობა მაღალ შეფასებას აძლევენ; რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს სახალხო მეურნეობის განვითარების „ოქროს ფონდს“ უწოდებენ.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის შახტებსა და საწარმოებში ასეთივე ორთვიური კონკურსი-დათვალიერება წინა წლებშიც იყო მოწყობილი. მარტო შარშან ორთვიურის განმავლობაში შემოვიდა 389 წინადადება. აქედან მიღებულ იქნა 233, ხოლო განხორციელდა 117 წინადადება. ამის შედეგად გასულ წელს მიღებულმა ფაქტიურმა ეკონომიამ შეადგინა ორ მილიონ მანეთზე მეტი.

ჩვენს მეშახტე რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს მრავალი, უაღრესად მნიშვნელოვანი, ნოვატორული წინადადებანი შემოაქვთ. მაგ.: ინჟინერმა ვ. კალანდარიშვილმა შექმნა აპარატი, რომელსაც მან „გაზის გუშაგი“ უწოდა. ეს აპარატი ქვანახშირის სანგრევში გამოყენებისას მეთანის (ჭაობის აზია) საშიში რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში მეშახტეებს ანიშნებს სანგრევში გაზის სიჭარბეს, ავტომატურად აძლევს აკუსტიკურ და სინათლის ნიშანს შახტის დისპეტჩერს, ავტომატურადვე გამოთიშავს შახტში ამუშავებულ მექანიზმებს, რითაც ხიფათს თავიდან გვაცილებს.

საყურადღებო წინადადების ავტორია ტყიბულელი მუშა შ. ჯალატოზი. მან გააკეთა საშახტო ტრანსპორტიორის ავტომატურად ამომრთველი მოწყობილობა, რომელიც ქვანახშირის ტრანსპორტირების დროს ჯაჭვის გაწყვეტის შემთხვევაში ტრანსპორტიორს თავისთავად და დაუყოვნებლივ გააჩერებს, რითაც თავიდან აგვაცილებს ავარიას და მასთან დაკავშირებულ იძულებითს გაცდენას.

ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადებები შემოიტანეს გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. გუჯეჯიანმა და ინჟინერმა შ. ქარუმიძემ. ბ. გუჯეჯიანის წინადადება შეეხება თბოელექტროცენტრალებში საწვავად ისეთი ფიქლების გამოყენებას, რომლებიც ეფექტურად შეცვლის ძვირფას კოქსად ქვანახშირს, ამასთან ენერგეტიკის თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელად გამოსაყენებელი იქნება და, რაც მთავარია, ბევრად იაფი დაჯდება. ინჟინერ შ. ქარუმიძის წინადადება კი შეეხება ნახშიროვანი ფიქლების, როგორც ენერგეტიკული საწვავის, გამოყენებას. ეს ფიქლები, როგორც ცნობილია, გამოუყენებელი რჩებოდა და დანაკარგს წარმოადგენდა.

უარესად მნიშვნელოვანი წინადადებები შემოიტანეს ინჟინრებმა ვ. ტოპოლკაროევმა და ა. ფოლნიხმა. პირველის წინადადება შეეხება ახალციხე-ქვანახშირის ტრესტის შახტებში გამონამუშევარი ადგილების გამაგრების გაუმჯობესებას (ე. წ. ელექტრო-ქიმიური მეთოდით), ხოლო მეორის წინადადება — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის განხორციელებისას ქვიშების გამოყენების საკითხს, რის შედეგად მიღწეული იქნება ჰიდრავლიკური ვსების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება და წყლის ხარჯვის ერთიორად შემცირება.

რაციონალიზატორებთან მუშაობაში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანიც. მთავარი ნაკლოვანება ის არის, რომ ხშირად ფერხდება და დაუშვებლად ჭიანურდება რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვა და დანერგვა, რაც რაციონალიზატორებს გულს უცრუებს მუშაობაში, აბრკოლებს მათი რიგების ზრდას. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

ინჟინრებმა ს. სახელაშვილმა და შ. მამისთვალოვმა 1951 წელს შემოიტანეს წინადადება „ჩარჩოიანი ხის სამაგრი ბიგების გაუმჯობესებული შეერთების“ შესახებ. ეს წინადადება მოიწონა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ და გადაწყდა მისი დანერგვა ქვანახშირის მრეწველობის ყველა აუზში. მაგრამ ტყიბულ-ქვანახშირისა და ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტების ხელმძღვანელები გულგრილად შეხვდნენ ამ საქმეს. ამ წინადადების განხორციელება კი ტყიბულსა და ტყვარჩელში მრავალ ასეულ ათას მანეთ ეკონომიას მოგვცემდა ყოველწლიურად.

არის აგრეთვე რაციონალიზატორთა უფლებრივი ნორმებისათვის ანგარიშგაუწევლობის ფაქტები. საავტორო ჯილდოს რაციონალიზატორებს ან სულ არ აძლევენ, ან აძლევენ, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც კანონით არის გათვალისწინებული. ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის მესამე შახტში მეშახტე ი. ვაჩალკინმა შემოიტანა წინადადება საშახტო აბანოს ღუმელებიდან ნაცრის ტრანსპორტირების მექანიზაციის განსახორციელებლად. ამ წინადადების დანერგვა შახტს ყოველწლიურად 24.000 მანეთ ეკონომიას მისცემს. მეშახტე რაციონალიზატორს უნდა მიეღო 950 მანეთი პრემია, მაგრამ მისცეს ამის მესამედი და ისიც დიდი დაგვიანებით.

არის აგრეთვე სხვა ხასიათის ნაკლოვანებანიც. მეშახტე რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი აზრი არ არის გამიზნული წარმოების „ვიწრო ადგილთა“ დასაძლევად. მაგალითად, ქვანახშირის მოპოვებაში მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად საჭიროა საბადოთა დამუშავების რენტაბელური სასტემის შერჩევა, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელება, ციკლური გრაფიკით მუშაობის დანერგვა და ა. შ. როგორ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხები ისე, რომ უკეთესი შედეგი მივიღოთ, როგორ გამოვიყენოთ ამ საქმეში მასების შემოქმედების აზრი, — ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ საკითხების გადასაწყვეტად მასების შემოქმედებითი ყურადღება არ არის გამახვილებული.

ამჟამად მიმდინარე კონკურს-დათვალიერების განმავლობაში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პატრიოტული ღირსების საქმეა მიაღწიონ რაციონალიზატორული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას. ამ საქმეში განსაკუთრებული დაინტერესება უნდა გამოიჩინონ მეშახტეთა პროფესიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც მოწოდებული არიან საშახტო პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის დახმარებით სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებით აზრს.

ორთვიურის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის შახტებთან და საწარმოებთან ჩამოყალიბებულია კომისიები, მოწყობილია რაციონალიზატორთა საკონსულტაციო ბიუროები, გავრცელებულია თემატიკური გეგმები და ე. წ. „ტექნიკური ფურცლები“, სადაც აღნიშნულია ის საკითხები, რომელთა რაციონალურად გადაწყვეტაც ახლა უფრო საჭიროა.

საქართველოს მეშახტეებს მათ წინაშე დასახული აქტუალური საკითხების გადაჭრაში მეტი დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა და სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა.

უდავოა, მეშახტეებისა და სამთო დარგის მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკების შემოქმედებითი თანამეგობრობა გააადვილებს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ვ. ჩაჩანიძე,
საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტექნიკური სამმართველოს უფროსი ინჟინერი.

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც დადგმულია ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე „ამოს“ ქარხნის (ახლანდელი ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხანა) მუშათა მიტინგზე ვ. ი. ლენინის გამოსვლის 35-ე წლისთავთან დაკავშირებით, რაც ამა წლის 28 ივნისს შესრულდა. ძეგლის ავტორია მოქანდაკე პ. იაცინო.

ფოტო ვ. ზუნინისა.
(საკავშირო ფოტოქრონიკა).

მოსკოვი

„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან

ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებთა გამოცემა

სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა დიდი რაოდენობით უშვებს მომავალ საბჭოთა რესპუბლიკების კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. მათ შორის არის ქართველ კომპოზიტორთა მთელი რიგი ნაწარმოებნი. მაგალითად, გამოცემულია კლავირი და პარტიტურა სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის კონცერტისა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

გამოიცა აგრეთვე მოსკოვის კონსერვატორიის ახლად კურსდამთავრებული ახალგაზრდა კომპოზიტორის მერაბ ფარცხალაძის ხუთი პიესა ფორტეპიანოსათვის.

მალე გამოვა კრებული „სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები“, ნაკვეთი მე-9. ამ კრებულში შევა სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ს. ცინცაძის მიერ დამუშავებული ხალხური სიმღერა და ა. მეგრელიძის მიერ ჩაწერილი ჩონგურზე დასამღერი ხალხური სიმღერები. გარდა ამისა, გამოსაცემად მიღებულია კომპოზიტორ ა. შავერზაშვილის სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის და ტრიო ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის.

დაზგა-ავტომატები თბილისის ფაბრიკისათვის

ამ დღეებში მოსკოვში გადაწყდა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის რეკონსტრუქციის საკითხი. მნიშვნელოვნად გაიზრდება საწარმოს პროდუქციის რაოდენობა, გაფართოვდება ასორტიმენტი და გაუმჯობესდება ხარისხი.

ამ მიზნით ფაბრიკისათვის გამოყოფილია 48 მაღალნაყოფიერი დაზგა-ავტომატი. გარდა ამისა, ფაბრიკა დამატებით უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ნედლეულით.

ქსოვილების გამოშვების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება განზრახულია უკვე წლის მეორე ნახევრიდან.

ხალხთა მეგობრობის დროშით

მეგობრული შეჯვარება

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). ჭიათურაში საწარმოო პრაქტიკაზე იმყოფება ასობით რუსი და უკრაინელი სტუდენტი. ისინი გულდასმით ეცნობიან მაღაროებისა და მადნის გამაუხვებელი ფაბრიკების მუშაობას, წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას.

მე-11 მაღაროში პრაქტიკაზე ჩამოვიდნენ ლენინგრადელი სტუდენტები, რომლებსაც ჭიათურელი თანამშრომლები გულთბილად შეხვდნენ. ამას წინათ მაღაროს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობით ადგილობრივ მუშათა კლუბში მოეწყო ლენინგრადელ სტუდენტ ახალგაზრდობასთან მეგობრული შეხვედრის საღამო.

მაღაროს მოწინავე ახალგაზრდა მუშამ ვ. კერესელიძემ შესავალ სიტყვაში ილაპარაკა რუსი და ქართველი ხალხების დიად, ისტორიულ მეგობრობაზე, მაღაროელი ახალგაზრდობის შრომითს საქმიანობაზე. მხატვრულ განყოფილებაში მაღაროელთა თვითმოქმედმა გუნდმა შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. მაღაროს დრამატულმა წრემ რუსულ ენაზე ლეჩვენა ერთმოქმედებიანი პიესა. მოწონება დაიმსახურა სბაკუმის სახლის აღსაზრდელთა სიმღერებმა და ცეკვებმა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაღაროელი რუსი ახალგაზრდების კ. კრილენკოს, ო. ხვოსტოვასა და ს. კონიუხოვას მონაწილეობით შესრულებულმა რუსულმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეკვებმა.

საღამოზე სახალტერესო იყო ლენინგრადელი სტუდენტების გამოსვლა ნ. ტერენტიევას ხელმძღვანელობით. რუსმა ახალგაზრდებმა მოხდენილად შეასრულეს რამდენიმე რუსული სიმღერა და ცეკვა.

ჭიათურელ ახალგაზრდებს ლენინგრადიდან ჩამოსული სტუდენტების სახელით სიტყვით მიმართა ნ. ტერენტიევამ. მან მადლობა გადაუხადა მაღაროელ ახალგაზრდებს გულთბილი, მეგობრული შეხვედრისათვის.

წერილები რედაქციას

ერთი საკითხის შესახებ

სავაჭრო, კვების და დამამზადებელი ორგანიზაციები მასობრივად ხმარობენ მაცივარ დანადგარებს, მაგრამ მათ როგორც რაიონებში, ისე თბილისში სრული წარმადობით ვერ იყენებენ. ხშირად ამის მიზეზია კვალიფიციური კადრების უყოლობა. ეს იწვევს აგრეთვე მაცივარ დანადგარების მალე გამოყვანას მწყობრიდან.

ორი წლის წინათ ეს საკითხი აღძრული იყო რესპუბლიკურ პრესაში. მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო გამოეხმაურებოდა მას და განახორციელებდა საჭირო ღონისძიებებს. მაგრამ ამ ძვირფასი დანადგარების მოვლა-გამოყენებისა და მათი კადრების მომზადება-გადამზადების საქმე დღესაც მოუგვარებელია.

იმის გამო, რომ ბევრგან კვალიფიციური მუშახელი არა ჰყავთ, მაცივარ დანადგარების ექსპლოატაციის ხანგრძლივობა ნაცვლად 15-20 წლისა მხოლოდ რამდენიმე თვით ან წლით განისაზღვრება. მაგალითად, თბილისის რესტორანების „არაგვისა“ და „ფუნიკულიორის“, ხორკომბინატის № 5 მაღაზიისა და სხვა ორგანიზაციების მაცივარ დანადგარები არანორმალური ექსპლოატაციისა და ცუდი მოვლის გამო რამდენიმე თვეში მწყობრიდან გამოვიდნენ. მაცივარ დანადგარების მოვლის მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა რაიონებში. ბათუმში ამონიაკის მაცივარ დანადგარების ძარითადი ნაწილები შეცვლას და შეკეთებას საჭიროებს. „გლავტორგობორუდოვანიეს“ თბილისის სარემონტო-სამონტაჟო კომბინატის ბათუმის, სუხუმის, ქუთაისის და ფოთის უბნები აწარმოებენ მონტაჟს, შეკეთებას და მეთვალყურეობას, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი არ არიან უზრუნველყოფილი ბინებით, ვერ აწარმოებენ მაცივარ დანადგარების ნორმალურ შეკეთებას და ექსპლოატაციას.

მაცივარ მოწყობილობათა კადრების მოსამზადებლად, აგრეთვე არსებული კადრების გადასამზადებლად საჭიროა ტექნიკურ სასწავლებლებთან ან ცალკე გაიხსნას გრძელვადიანი კურსები. არაკვალიფიციურ პირს არ უნდა მიეცეს ძვირფასი დანადგარების მართვისა და ექსპლოატაციის უფლება. ყოველივე ეს თავიდან აგვაცილებს დიდ ხარჯებს და გაადიდებს მაცივრების წარმადობას.

ი. გოგნაძე,
„გლავტორგობორუდოვანიეს“ თბილისის სარემონტო-სამონტაჟო კომბინატის დირექტორი.

პოლიტიკური აგიტაციის გამოცდილებიდან

საველე აგიტპუნქტი

ალაზნის ბარაქაან ველზეა გაშლილი სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პურის ყანები. წელს ვეჯინელები პურეულის უხვ მოსავალს იღებენ. შარშანდელი 6-7 ცენტნერის ნაცვლად მერვე და მეცხრე ბრიგადებმა ჰექტარზე 20-25 ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს. საველე საწყობში, რომელიც პურის ყანების შიგ ცენტრშია აშენებული, ყოველდღიურად ავტომანქანებს ათობით ტონა მარცვალი მოაქვთ კომბაინებიდან და კალოზე ახვავებენ.

ამ დღეებში დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი კალოზე არიან. კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი ხორბალს ცხრილებში ატარებს, მეორე — ნიჩბებით ანიავებს, ხოლო მესამე — ტომრებში ყრის.

საველე საწყობის ყველაზე საუკეთესო ადგილი აგიტპუნქტს აქვს დათმობილი. მისთვის ცალკე ოთახია გამოყოფილი. ვეჯინელმა კომუნისტებმა დიდი სიყვარული, ინიციატივა და მოსაზრებულობა გამოიჩინეს იმისათვის, რომ საველე აგიტპუნქტი სანიმუშოდ მოეწყოთ.

კალო საზეიმოდ არის მორთული. შორიდანვე თვალს იზიდავს საველე საწყობის შენობაზე დიდი ასოებით ლამაზად გამოყვანილი წარწერა: „საველე აგიტპუნქტი“.

მთელმა სოფელმა აქტიური, საქმიანი მონაწილეობა მიიღო საველე აგიტპუნქტის მოწყობა-გაფორმებაში. მასწავლებლებმა სურათები და დიაგრამები მოიტანეს, მოწოდებები დაწერეს; სასოფლო სამკითხველოს მუშაკებმა საინტერესო წიგნები და ჟურნალები შეარჩიეს; კომკავშირელებმა „საბრძოლო ფურცლებისათვის“ პატარა დაფები დაამზადეს; კოლმეურნე რადიომოყვარულებმა საველე აგიტპუნქტში რადიომიმღები მოაწყეს. და როცა რადიომიმღები ჩართეს და კალოზე დიქტორის ნაცნობი ხმა გაისმა: „ლაპარაკობს მოსკოვი“, კოლმეურნეებმა ერთმანეთს კმაყოფილებით გადახედეს.

ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საველე აგიტპუნქტი მართლაც კოლმეურნეთა საყვარელ ადგილს წარმოადგენს. მათ აქ ყოველთვის შეუძლიათ ნახონ ახალი გაზეთები და ჟურნალები, მოისმინონ ცოცხალი, საინტერესო საუბრები, მოხსენებები და ლექციები, გაერთონ და დაისვენონ აგიტბრიგადის გამოსვლებით, რომელიც ვეჯინის საშუალო სკოლასა და სასოფლო სამკითხველოსთან არსებული მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთაგან შედგება და კოლმეურნეთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ აგიტპუნქტი გამოცდილი, საქმის მცოდნე და პოლიტიკურად მომზადებული აგიტატორებით დაკომპლექტა. ქსენია ნატროშვილს, სოსო სიბაშვილს, ნაზო მჭედლიშვილს, სირანა სეფიაშვილს, ნიკო გაბიტაშვილს და სხვებს კოლმეურნეობაში სამართლიანად უწოდებენ უხვი მოსავლის აგიტატორებს.

დიდი სიხარულით ხვდებიან გიგო ჯამატაშვილის ბრიგადაში აგიტატორ ნაზო მჭედლიშვილის გამოჩენას.

— ჩვენი ნაზო მოდის! — ამბობენ კოლმეურნეები და საინტერესო საუბრის მოსასმენად ემზადებიან. აგიტატორის ყოველი საუბრის შემდეგ ისინი კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ხალისით მუშაობენ. ამ დღეებში ნაზო მჭედლიშვილი სულ ერთთავად ბრიგადაშია, სიტყვითა და საქმით მაგალითს აძლევს კოლმეურნეებს. თავის მხრივ აგიტატორიც ამაყობს იმით, რომ უხვი მოსავლის ოსტატთა ბრიგადაში ეწევა აგიტაციას. გიგო ჯამატაშვილის ბრიგადა ჰექტარზე 20 ცენტნერ ხორბალს იღებს.

* * *

შუა ივნისი იქნებოდა. ვეჯინის საშუალო სკოლის დირექტორს არჩილ ლაშქარაშვილს ამბავი მოუვიდა: პარტიის გურჯაანის რაიონულ კომიტეტში გეძახიანო. მაშინ პურეულის აღება ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. გურჯაანში რომ ჩავიდა, არჩილმა მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ მასთან ერთად 16 ამხანაგი კიდევ სხვა იყო გამოძახებული. რაიონული კომიტეტის მდივანმა ყველანი ერთად შეკრიბა და მათ საველე აგიტპუნქტების ამოცანებზე მოელაპარაკა.

ამ საუბრიდან ერთი კვირის შემდეგ არჩილ ლაშქარაშვილი ისევ მიიწვიეს რაიონულ კომიტეტში. ამჯერად სემინარის მეცადინეობაზე ეძახდნენ. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები და საველე აგიტპუნქტების გამგეები. არჩილი ყურადღებით უსმენდა გამოსულ ამხანაგებს, მოკლედ იწერდა რვეულში საგულისხმო შენიშვნებს. მისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო საუბარი თემაზე: „სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, წარმატებით შევასრულოთ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა“.

სემინარმა დიდი დახმარება გაუწია საველე აგიტპუნქტების გამგეებს. გურჯაანიდან დაბრუნებისთანავე ა. ლაშქარაშვილი პარტბიუროს მდივანთან ერთად შეუდგა აგიტპუნქტის სამუშაო გეგმის შედგენას. ამ გეგმის მიხედვით აგიტატორებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს ბრიგადებში, საველე აგიტპუნქტში, სადაც აგიტატორთა ყოველდღიური მორიგეობა იქნა დაწესებული. არჩილმა აგიტპუნქტის გარშემო შემოიკრიბა სოფლის საუკეთესო ძალები: აგიტატორები, წამკითხველ-მესაუბრეები, „საბრძოლო ფურცლების“ რედაქტორები, სასოფლო სამკითხველოს მუშაკები, ადგილობრივი ინტელიგენცია. გარდა ყოველდღიური საუბრების გამართვისა და ახალი გაზეთების წაკითხვისა, საველე აგიტპუნქტი კოლმეურნეებისათვის მართავს ლექცია-მოხსენებებს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, მშვიდობისათვის მშრომელთა ბრძოლაზე.

საველე აგიტპუნქტი სათავეში უდგას კოლმეურნეთა და სოფლის მექანიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებას. საერთო ყურადღების ცენტრში არიან კომბაინერები. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან წელს კოლმეურნეობაში 597 ჰექტარიდან 569 ჰექტარზე პურეული კომბაინებით იქნება აღებული.

— სრული დატვირთვით გამოვიყენოთ მანქანები მოსავლის აღებაზე! — ასეთი მოწოდებით გააჩაღა საველე აგიტპუნქტმა პოლიტიკური მუშაობა მექანიზატორთა შორის.

ორ ივლისს არჩილ ლაშქარაშვილმა მინდვრად კომბაინერი ვარლამ ლუდიძე ნახა და მისალმების შემდეგ უთხრა:

— ვარლამ, მიხეილ ზასარინმა ძმური სალამი შემოგითვალა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოგიწვია: აბა ვინ უფრო მეტ მოსავალს ავიღებთო.

გურჯაანის მტს-ის კომბაინერი მიხეილ ზასარინი დიდი ხანია ალაზნის ველზე მუშაობს. შორს გაითქვა სახელი მოწინავე მექანიზატორმა. ამ გამოწვევამ ვარლამ ლუდიძე ჩაიფიქრა და გაახარა კიდეც. ან კი ვის არ გაახარებს ღირსეულთან შეჯიბრება!

— ბიჭებო, — მიმართა მან აგრეგატის წევრებს, — ჩვენი ვალია შეერთებული ძალღონით ვიბრძოლოთ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

გამოწვევა ერთხმად იქნა მიღებული, და აგრეგატი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას. ამ დღეს მომკილმა ფართობმა 20,6 ჰექტარი შეადგინა. მეორე დღეს კიდევ უფრო უკეთესად იმუშავეს და 21 ჰექტარზე აიღეს პურეულის მოსავალი.

ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პურის ყანებში მომუშავე მეორე კომბაინერი სერგო უტიაშვილი სოფელ ჭანდრების კოლმეურნეობაში მომუშავე კომბაინერთან ვ. ხუროშვილთან ჩაება შეჯიბრებაში. საველე აგიტპუნქტის გამგე განუწყვეტლივ ადევნებს თვალყურს კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას, და როცა 15 ივლისს რაიონული გაზეთის „საკოლმეურნეო შრომის“ ახალი ნომერი მიიღო, მაშინვე კომბაინებისაკენ გასწია.

— მოისმინეთ უკანასკნელი ცნობები, — მისვლისთანავე დაიწყო მან და რაიონული გაზეთი გაშალა.

— „სტალინეც-6“ მარკის კომბაინზე მომუშავე კომბაინერებს, — დამარცვლით ამოიკითხა თვითეული სიტყვა ა. ლუდიძეს გადახედა, თუ მისმენსო— 14 ივლისისათვის მოსავალი აღებული ჰქონდათ: მიხეილ ზასარინს — 274 ჰექტარზე, ვარლამ ლუდიძეს — 248 ჰექტარზე...

— ჩამოვრჩით! — თითქოს წყენით თქვა ვარლამმა და აუღებელ, მძიმე თავთავდახრილ ყანას გახედა.

— სერგო უტიაშვილი როგორ მიდის? — იკითხა ერთმა.

საველე აგიტპუნქტს გამგემ გაზეთს დახედა და კითხვა განაგრძო:

— „სტალინეც-4“ მარკის თვითმავალ კომბაინზე მომუშავე ს. უტიაშვილს 14 ივლისისათვის მოსავალი აღებული ჰქონდა 150 ჰექტარზე, ვ. ხუროშვილს — 147 ჰექტარზე...

ალაზნის ველზე უკვე ღამის ბინდი წვებოდა, როცა არჩილ ლაშქარაშვილი მექანიზატორებიდან საველე აგიტპუნქტში დაბრუნდა. კალო ელექტროშუქით ყოფა გაჩირაღდნებული. მუშაობა ერთი წუთითაც არ ცხრებოდა. ყოველმხრივ გაისმოდა კოლმეურნეთა მხიარული შეძახილები, მოსწრებული გამოთქმები. მონოტონურად გუგუნებდნენ ხორბლის სანიავებელი და დამხარისხებელი მანქანები.

საველე აგიტპუნქტში მაგიდასთან თავი მოიყარეს კოლმეურნეობის ბრიგადირებმა. არჩილი შეუდგა მოწინავე კოლმეურნეთა შეტანას სოციალისტური შეჯიბრების დაფაზე. ბრიგადირები ხალისითა და სიამაყით ასახელებდნენ შრომაში სახელმოხვეჭილ კოლმეურნეებს — გიორგი სვიმონიშვილს, ილია სეფიაშვილს, გიგო ჯამატაშვილს, ნასყიდა თათრიშვილს და კიდევ ბევრ სხვას. შემდეგ ჯერი ჩამორჩენილებზე მიდგა. ჩამორჩენილთა დაფაზე რამდენიმე გვარი ჩამოწერეს. ამ პატარა დაფას საოცარი ძალა აქვს. ამას წინათ ჩამორჩენილთა დაფაზე ნინო გველუკაშვილი, არღუთა ავეტოვი და ვარო სეფიაშვილი დაწერეს. მეორე დღეს საველე აგიტპუნქტში ცხარე დავა და ლაპარაკი ატყდა.

— ეს რა გიქნიათ, ხალხნო, — იძახდა ავეტოვი. — ქვეყანამ გაიგო ჩემი თავის მოკვლა, ისე მეტყოდით, ან დამიძახებდით...

ასევე მწვავედ იგრძნეს თავიანთი დანაშაული დანარჩენებმაც. ამის შემდეგ ისინი ერთგულად ამოუდგნენ მხარში მოწინავე კოლმეურნეებს.

არჩილ ლაშქარაშვილი ზუსტად აღრიცხავს აგიტპუნქტის მიერ გაწეულ მუშაობას. მის მიერ გაკეთებული ჩანაწერებიდან ირკვევა, თუ რა ფართო და საინტერესო საქმიანობას ეწევა აგიტპუნქტი მოსავლის აღების დღეებში. მაგალითად, მასწავლებელმა შ. ყალაბეგაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე „მიჩურინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, ხოლო აგრონომი ს. სვანიძე კოლმეურნეებს ესაუბრა მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების შესახებ. სხვა ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ ექიმ ო. ჩხიკვიშვილს გაუმართავს ლექცია ვიტამინებისა და მათი მნიშვნელობას შესახებ, ა. ლაშქარაშვილს კი გაუკეთებია მოხსენება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. შემდეგ მოყვება მოხსენებები და საუბრები მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლაზე, პირველი დახმარების შესახებ, სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების თვალისჩინივით დაცვაზე...

საველე აგიტპუნქტის მთელი მუშაობა მიმართულია მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისაკენ, ხელს უწყობს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ აღმავლობასა და განმტკიცებას.

* * *

გურჯაანის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში მიმდინარე მოწყობილია საველე აგიტპუნქტი. ამასთან ბევრი მათგანი ცუდად როდი მუშაობს. რაიონული კომიტეტი, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ აგიტპუნქტების საქმიანობას, გულდასმით არჩევენ მათთვის აგიტატორთა კადრებს, ეხმარებიან საჭირო ლიტერატურითა და თვალსაჩინოებით.

პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურად ამოწმებს საველე აგიტპუნქტების მუშაობას, აწყობს აგიტპუნქტების გამგეების სემინარებს. სემინარებზე მოხსენებებით გამოდიან რაიონული კომიტეტის მდივნები ა. დავითაშვილი, ვ. ზავრაშვილი, განყოფილებათა გამგეები ვ. დოლენჯაშვილი, ი. სიხარულიძე, რაიონული გაზეთის რედაქტორი შ. მაჭავარიანი, აგრეთვე თავიანთ გამოცდილებაზე ხშირად ლაპარაკობენ თვით საველე აგიტპუნქტების გამგეები.

ბევრ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილია აგიტბრიგადები, რომლებშიც სასოფლო კლუბებისა და სამკითხველოების მხატვრული თვითმოქმედების გუნდების წევრები მონაწილეობენ.

საველე აგიტპუნქტები დიდ და მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მოსავლის აღების დღეებში.

ვ. შავგულიძე.

ჩვენი კალენდარი

ვ. გ. კოროლენკო

დაბადების 100 წლისთავი

ასი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაიბადა დიდი რუსი დემოკრატი რეალისტი მწერალი და გამოჩენილი პუბლიცისტი ვლადიმერ გალაქტიონის-ძე კოროლენკო.

ვ. გ. კოროლენკოს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა განუყოფელია მშრომელი ხალხის ფართო მასების ინტერესებისაგან. ბურჟუაზიულ-ფეოდალური რუსეთის წესწყობილების მრისხანე მამხილებელი ვ. გ. კოროლენკო თავის შემოქმედებაში ადამიანის თავისუფლების იდეალს განამტკიცებდა.

ისევე როგორც ბევრმა მწერალმა-დემოკრატმა, მან განიცადა სასტიკი დევნა მეფის რუსეთის მთავრობისაგან; მრავალი წელი დაჰყო დასასახლებაში, მაგრამ ვერავითარმა რეპრესიებმა ვერ აიძულა ვ. გ. კოროლენკო ეღალატნა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, ვერ დაჩლუნგა მისი კალმის სიბასრე სოციალურ უთანასწორობასთან ბრძოლაში.

სალიტერატურო ასპარეზზე ვ. გ. კოროლენკო გამოვიდა ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და ნეკრასოვის ზეგავლენით, ვ. გ. კოროლენკომ სწრაფად დაძლია ის რომანტიკულ-ნაროდნიკული ილუზიები, რომლებიც მას ჰქონდა და რომლებიც გარკვეულ დაღს ასვამდნენ მის ადრინდელ ნაწარმოებებს.

მომწიფებულ რეალისტად და დემოკრატიული ტენდენციების მქონე მწერლად იგი გვევლინება მოთხრობებში „მაკარის სიზმარი“, „ციმბირელი ტურისტის ნარკვევები“ და „სოკოლინეცი“, რომლებიც ვ. გ. კოროლენკომ დაწერა იაკუტიაში გადასახლების შემდეგ 1885 წელს.

1886 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი „ნარკვევები და მოთხრობები“ და დიდი მოთხრობა „ბრმა მუსიკოსი“. ამ ნაწარმოებებში მან გამოამჟღავნა ცხოვრების ღრმა ცოდნა, ტიპიური სურათებისა და ტიპიური სახეების შექმნის უნარი. დაჩაგრული პიროვნების პროტესტიდან მწერალი-დემოკრატი განზოგადებაზე გადადის და ისეთ მოთხრობაში, როგორიც არის „მაკარის სიზმარი“, ამართლებს გლეხთა სოციალურ ბრძოლას. ამავე წელს ვ. გ. კოროლენკოს დაწერილი აქვს „თქმულება ფლორზე, აგრიპსა და მენახეზე, იეგუდას შვილზე“. ამ ნაწარმოებში მწერალმა დასვა ხალხთა განთავისუფლების პრობლემა. „თქმულება“ პოლემიკურად მიმართულია ლ. ტოლსტოის „ბოროტებისადმი წინააღუდგომლობის“ თეორიის წინააღმდეგ და მასში ხალხთა განთავისუფლების ერთადერთ საშუალებად აღიარებულია შეურიგებელი ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ოთხმოცდაათიან წლებში ვ. გ. კოროლენკოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს წარმოადგენს „პავლოვოს ნარკვევები“; ამ ნარკვევებში მან ლაზარი ნასცა იმ ლიბერალურ-ნაროდნიკულ პუბლიცისტებს, რომლებიც ქალაქ პავლოვოს წვრილი მრეწველების საქმიანობაში ხედავდნენ არაკაპიტალისტურ, პატრიარქალურ „სახალხო წარმოებას“.

დიდი რუსი დემოკრატი მარტო კალმით როდი იბრძვის მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის. აქეთკენ მიმართულია მისი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. 90-იან წლებში კოროლენკო გამოდის უდმურტი გლეხების დასაცავად, რომლებსაც მეფის ხელისუფლება ბრალს სდებდა რიტუალურ მკვლელობაში. კოროლენკომ თვითონ ითავა მუსლმანელი გლეხების დაცვა, მოითხოვა საქმის გადასინჯვა და მისი გამოსვლის შემდეგ სასამართლო იძულებული გახდა გაემართლებინა უდანაშაულო გლეხები.

1893 წელს ვ. გ. კოროლენკო მიემგზავრება მსოფლიო გამოფენაზე ჩიკაგოში. საზღვარგარეთის შთაბეჭდილებანი მწერალმა მხატვრულად ჩამოაყალიბა თავის დიდ მოთხრობაში „უენოდ“. ამ ნაწარმოებში მან გაამთრახა ამერიკის ცხოვრების მგლური კანონები, ამხილა ამერიკული ნაქება „დემოკრატია“, დემოკრატია ერთი მუჭა ექსპლოატატორებისათვის, რომლებიც ულმობლად ჩაგრავენ მილიონობით მშრომელ ადამიანებს. ამ მოთხრობაში ვხედავთ ამერიკის ცხოვრების ტიპიურ სურათებს: უმუშევართა მიტინგებს, თვითმკვლელობას ამის გამო, რომ არ არის შრომის და ადამიანური ცხოვრების ელემენტარული პირობები, ფულის წინაშე მონურ თაყვანისცემას და სხვ.

კოროლენკო აღფოთებით ლაპარაკობს რასობრივ დისკრიმინაციაზე, რომელიც სამარცხვინო ლაქად აზის „დემოკრატიულ“ ამერიკას. მწერლის მრავალი ჩანახატი ცოცხლად წარმოგვიდგენს ზანგების აუტანელ ცხოვრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების მომდევნო რეაქციის პერიოდში კოროლენკო აღგენს ნარკვევების ციკლს „სოროჩინცის ტრაგედია“. ცნობილია, რომ 1905 წლის დეკემბერში პოლიციის სადამსჯელო რაზმმა ჯალათ ფილონოვის მეთაურობით დაარბია სოფელი სოროჩინცი და სასტიკად გაუსწორდა ადგილობრივ გლეხობას. კოროლენკო გამოვიდა თავისი „ღია წერილით“, რომელშიც ამხილა ჯალათების სისხლიანი საქმიანობა და მოითხოვა ფილონოვის დასჯა. რამდენიმე დღის შემდეგ ფილონოვი მოკლულ იქნა. ოფიციალურმა პრესამ მწერალს ბრალად დასდო მკვლელობის ხელშეწყობა და მას ბრძოლა გამოუცხადა. საპასუხოდ კოროლენკომ დაწერა მთელი რიგი მამხილებელი წერილები, რომლებმაც შემდეგ შეადგინეს ნარკვევთა ციკლი „სოროჩინცის ტრაგედია“. ამ ნარკვევებში კოროლენკო გამოდის რეაქციის წინააღმდეგ გლეხობის ინტერესების დასაცავად.

რეაქციის წლებში მან დაწერა ნარკვევების წიგნი „საყოფაცხოვრებო მოვლენა“, რომლის მასალა იყო ის უღმობელი რეპრესიები, რომლებიც ხალხს თავს დაატყდა რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვ. გ. კოროლენკო, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, განაგრძობდა მუშაობას წიგნზე „ჩემი თანამედროვის ისტორია“. ახალი აღიარება ჰპოვა მისმა შემოქმედებამ საბჭოთა ხელისუფლების დროს. დიდი მზრუნველობა გამოიჩინა საბჭოთა მთავრობამ და პირადად ვ. ი. ლენინმა მძიმედ დაავადებული მწერლისადმი.

დიდი რუსი მწერლის ვ. გ. კოროლენკოს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა საბჭოთა მკითხველისათვის ძვირფას საგანძურს წარმოადგენს. მშრომელი მასების ინტერესებისათვის დაუღალავი მებრძოლი. სოციალური უთანასწორობის მგზნებარე მამხილებელი ვ. გ. კოროლენკო იყო და რჩება მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის საყვარელ მწერლად.

დ. სტურუა.

ვ. გ. კოროლენკოს ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

გუშინ, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა გამოჩენილი რუსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვ. გ. კოროლენკოს დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

შესავალ სიტყვაში მწერალმა ს. ჭილაიამ მოკლედ დაახასიათა ვ. კოროლენკო, როგორც რუსული დემოკრატიული ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი, მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი.

მოხსენება — „ვ. გ. კოროლენკოს ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა კრიტიკოსმა გ. მარგველაშვილმა. სიტყვით გამოვიდა მწერალი კ. ლორთქიფანიძე.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

დავძღიოთ ჩამორჩენა თივის დამზადებაში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ცნობების მიხედვით

საქართველოს კოლმეურნეობებში თივის აღება სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 25 ივლისისათვის კოლმეურნეობებში ბუნებრივი ბალახები გათიბული იყო 61.865 ჰექტარზე, რესპუბლიკური გეგმის 32,6 პროცენტი.

ცალკე რაიონების მიხედვით ბუნებრივი ბალახის აღების გეგმის შესრულება შემდეგ სურათს იძლევა: ახალქალაქის რაიონს თივის აღების გეგმა შესრულებული ჰქონდა 44,1 პროცენტით, ბოგდანოვკის — 14, ახალციხის — 31,3, ადიგენის — 37,3, ასპინძის — 64,1, ხაშურის — 77,7, ქარელის — 102,4, გორის — 105,2, კასპის — 55,4, ბორჯომის — 4,8, წალკის — 8,3, დუშეთის — 96,6, თეთრი წყაროს — 34,7, თიანეთის — 45,8, გურჯაანის — 243,5, კაჭრეთის — 62,1, სიღნაღის — 77,4, წითელწყაროს — 13,7, თელავის — 26,6, ყვარლის — 102,3, ლაგოდეხის — 85, გარეუბნის — 20,9, მცხეთის — 47,3, გარდაბნის — 43,6, მარნეულის — 107,8, ბოლნისის — 77,6, საგარეჯოს — 52,8, დმანისის — 42,4, ცხაკაიას — 4,3, წალენჯიხის — 3,3, ჩოხატაურის — 7,2, ჭუთაისის — 15, ზესტაფონის — 100, ჭიათურის — 120, საჩხერის — 20, ორჯონიკიძის — 2,3, ონის — 8,1, ამბროლაურის—15,9, ცაგერის — 46,5, მესტიის — 14,4, ფოთის — 12, აფხაზეთის ასსრ — 10,6, აჭარის ასსრ — 6,8 და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 30,6 პროცენტით.

თიბვაში მკვეთრად ჩამორჩენენ გარდაბნის, ახალციხის, ადიგენის, თეთრი წყაროს, თელავის და გარეუბნის რაიონები. მთელ რიგ მაღლობი რაიონების კოლმეურნეობებში თიბვის ტემპი დაბალია, რაც საფრთხის წინაშე აყენებს უხვად შემოსული ბალახის დროულად აღებას. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ბოგდანოვკის, ბორჯომის, წალკის, ამბროლაურის, მესტიის, ქლუხორის რაიონებისა და აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დაბლობ რაიონებში იჩენენ ბალახის დროულად აღების შეუფასებლობას, რის გამო 25 ივლისისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ჰქონდათ ლანჩხუთის, მახარაძის, ხობის, აბაშის, ზუგდიდის და სხვა რაიონებს.

თივის აღებაში ჩამორჩენის დაუყოვნებლივ დაძლევა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

„პრავდის“ მოწინავე სტატიაზე „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“

პოლონეთი

ვარშავა, 26 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის ცენტრალური გაზეთები კომენტარს უკეთებენ „პრავდის“ 23 ივლისის მოწინავე სტატიას „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“. გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ მოწინავე სტატიაში „მოლაპარაკების იდეის გამარჯვებისათვის“ წერს:

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივას, რომლის შედეგადაც გამოჩნდა საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელების შანსი, ფართო მსოფლიო საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ბევრმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა მოღვაწემაც კი. კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების პროგრესმა, რომელიც მიღწეულია მიუხედავად ლი სინ მანისა და მისი მხარდამჭერი ამერიკული იმპერიალიზმის აგრესიული წრეების საბოტაჟის ტაქტიკისა, ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ არ არსებობს თუნდაც ყველაზე რთული საკითხი, რომლის გადაწყვეტაც არ შეიძლებოდეს დაინტერესებული მხარეების მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და მშვიდობიანი შეთანხმების გზით.

ასეთი მდგომარეობის დროს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვაშინგტონის თათბირის შედეგებმა და კომუნიკემ დიდად გაუცრუა იმედი ყველა ადამიანს, რომელსაც გულწრფელად და პატიოსნად სწყურია საერთაშორისო მდგომარეობის შენელება.

როგორია საერთაშორისო მდგომარეობის ამ შენელების გზა? ეს გზა ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მოლაპარაკებაა, რომელიც უნდა მოეწყოს წინასწარი პირობების დაუთქმელად და ისე, რომ არც ერთი მხარე არ ცდილობდეს თავს მოახვიოს მეორეს დიქტატი. ასეთ მოლაპარაკებას ამას წინათ ხხარი დაუჭირა აგრეთვე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა.

ცნობილია, წერს შემდეგ გაზეთი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი საერთოდ წინააღმდეგი იყო ოთხთა ჟონფერენციისა და სახელმწიფოთა მოლაპარაკებისა, ცდილობდა რა სსრ კავშირის მიმართ „მტკიცე კურსის“ გაძლიერებას. ამრიგად, თუ სამმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა სსრ კავშირს „მიწვევა“ ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე, ამის მიზეზი საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისადმი გულწრფელი მისწრაფება კი არ იყო, არამედ იმის ცდა, რომ თავი გაიმართლონ ხალხის მასების წინაშე, რომლებიც სულ უფრო ძლიერ მოითხოვენ ასეთ მოლაპარაკებას.

ისტორია გვასწავლის, წერს დასასრულ გაზეთი, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ დიქტატის მეთოდს არასოდეს არ მოჰყოლია და არც როდისმე მოჰყვება რაიმე შედეგი. ამ მეთოდს იყენებენ საერთაშორისო იმპერიალიზმის აგრესიული წრეები, რომელნიც ისწრაფვიან გაამწვავონ საერთაშორისო სიტუაცია. მაგრამ, მიუხედავად მშვიდობის მტერთა ყოველი ცდისა, მოლაპარაკების იდეას სულ უფრო ბევრი მომხრე უჩნდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 26 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ და ჩინეთის სხვა ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს „პრავდის“ 23 ივლისის მოწინავე სტატია „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 26 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „საბად ნეპი“ დღეს სარედაქციო სტატიაში წერს:

დიდი ხანია არ ყოფილა ისეთი მოთხოვნა, რომელსაც გაეერთიანებინა კაცობრიობის ასეთი დიდი ნაწილი, როგორიც არის ჩვენს დროს საერთაშორისო მოლაპარაკების მოთხოვნა. ახლა მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანი გრძნობს, რომ დადგა დრო ლიკვიდირებულ იქნას „ცივი ომი“, დადგა დრო მოწესრიგდეს სადავო საკითხები შეთანხმების საფუძველზე მოლაპარაკების გზით. ამით აიხსნება ის საყოველთაო მოწონება, რომლითაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ახალ ინიციატივას. და ამით აიხსნება ის, რომ უკანასკნელ თვეებში ბურჟუაზიულმა წამყვანმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმაც კი სწორად მიიჩნიეს აშკარად მიმხრობოდნენ მოლაპარაკების იდეას.

უკვე დამტკიცებულია, რომ მოლაპარაკების გზა შესაძლო გზაა. თუმცა კორეაში ჩვენ ნათლად ვხედავთ შეთანხმებათა ვერაგულ დარღვევას, ხანამდვილია ის, რომ კორეაში, მიუხედავად ყოველივე აშკარა და ფარული დაბრკოლებისა, შესაძლებელი გახდა შეთანხმების გზით გადაჭრილიყო დაზავებასთან დაკავშირებული რთული საკითხები. უკანასკნელი თვეების საბჭოთა სამშვიდობო ღონისძიებებმა დაადასტურეს, რომ არსებობს შეთანხმების გზა. საბჭოთა კავშირის ინიციატივამ შესამჩნევად გააუმჯობესა საერთაშორისო მდგომარეობა.

ყოველივე ამის შემდეგ, აღნიშნავს გაზეთი, მსოფლიოს შეეძლო მოლოდინი ჰქონოდა, რომ დასავლეთის მხრიდანაც ყველა ლამაზი სიტყვისა და დაპირების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, შესაბამისი საქმეებით გასცემდნენ პასუხს სსრ კავშირის ინიციატივაზე. ნაცვლად ამისა, როგორც ცნობილია, ვაშინგტონში გაიმართა სამი დასავლეთის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. გაზეთი „პრავდა“ 23 ივლისის მოწინავე სტატიაში სრული საფუძვლით აღნიშნავდა, რომ თვით ფაქტი ამ თათბირის მოწვევისა ელემენტარულ საერთაშორისო ჩვეულებათა და საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფაა. ცხადია ის, რომ, ვისაც ჭეშმარიტი ეფექტიანი მოლაპარაკება სურს რომელიმე ქვეყნის თავჯრობასთან, ამ მთავრობის ზურგსუკან შეთქმულებას როდი აწყობს და ცალმხრივად შემუშავებულ პირობებს როდი აყენებს.

ვაშინგტონის თათბირი ცხადყოფს, წერს დასასრულ გაზეთი, რომ ახლა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომლებიც აფერხებენ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების გადაჭრას შეთანხმებათა გზით. სწორედ ამიტომ ხალხები, მათ შორის ჩვენი ხალხიც, ენერგიულად უჭერენ მხარს იმ მოთხოვნებს, რომ მთავრობებმა გამოიჩინონ გულწრფელობა და მოლაპარაკებისათვის მზადყოფნა...

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 26 ივლისი, (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ გაზეთ „პრავდის“ 23 ივლისის მოწინავე სტატიას „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“.

გაზეთი „რუდე პრავოში“ დაიბეჭდა მოწინავე სტატია „საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ძალა“, რომელშიც ნათქვამია:

საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკა შეესაბამება ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს. ამ პოლიტიკის პრინციპები გამოხატავენ ყველა ხალხის მისწრაფებასა და მოთხოვნებს.

შემდეგ გაზეთი წერს, რომ მშვიდობის განმტკიცებას ყველაზე მეტად აფერხებს არაადამიანური „ძალის პოლიტიკა“, რომელსაც რეაქციის ბნელი ძალები ახორციელებენ. ამ პოლიტიკის შედეგია სისხლისმღვრელი ომი კორეაში, აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შექმნა, დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაცია, სახალხო ჩინეთისათვის ეაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი კანონიერი ადგილის წართმევა.

„ძალის პოლიტიკას“, რასაც იმპერიალისტები ახორციელებენ, ამსხვრევს საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის ძლიერება. საბჭოთა მთავრობას არაერთხელ გამოუთქვამს თავისი კეთილნება — მშვიდობიანი გზით განხილულ იქნას და გადაწყდეს ყველაზე მწვავე საერთაშორისო საკითხები. საბჭოთა მთავრობის იგივე მისწრაფება გამოიხატა გაზეთ „პრავდის“ 23 ივლისის მოწინავეში. „ამ მოწინავემ, — წერს გაზეთი, — რომელიც ვაშინგტონის კომუნიკეს კრიტიკული გარჩევაა, ცხადყო, რომ სამი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირმა, რომელიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის მონაწილეობის მიუღებლად გაიმართა, არ მოგვიახლოვა არც ერთი უაღრესად მწვავე საერთაშორისო საკითხის გადაწყვეტა“.

ჩვენს მშრომელებს, აღნიშნავს გაზეთი, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უაღრესად ენერგიულად დაუჭირონ მხარი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ ხელმოწერილ იქნას შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ. ჩვენი მშრომელები მომავალშიც გადაჭრით დაუჭერენ მხარს ყველა გულწრფელ მისწრაფებას იმისადმი, რომ სამართლიანი სავაჭრო ხელშეკრულება დაიდოს ერთიან დემოკრატიულ გერმანიასთან. ჩვენი ხალხი მხარს დაუჭერს კაპიტალისტური ქვეყნების, აგრეთვე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ჩვენი ხალხი კიდევ უფრო განამტკიცებს და გაიმრავლებს ძმურ კავშირს და უაღრესად ფართო თანამშრომლობას დიდ საბჭოთა ხალხთან და მშვიდობის ბანაკის ყველა ხალხთან...

ბულგარეთი

სოფია, 26 ივლისი. (საკდესი). ყველა ბულგარულმა გაზეთმა გამოაქვეყნა „პრავდის“ მოწინავე სტატია „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“.

რუმინეთი

ბუქარესტი, 26 ივლისი. (საკდესი). ბუქარესტის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა „პრავდის“ 23 ივლისის მოწინავე სტატია „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“.

ალბანეთი

ტირანა, 26 ივლისი. (საკდესი). ალბანეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს გაზეთ „პრავდის“ 23 ივლისის მოწინავე სტატია „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“.

გერმანია

ბერლინი, 26 ივლისი. (საკდესი). „პრავდის“ მოწინავე სტატიამ „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ბერლინის დემოკრატიულ პრესაში.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ მოწინავე სტატიაში „ვაშინგტონი და გერმანიის საკითხი“, რომელიც მიძღვნილია გაზეთ „პრავდის“ 23 ივლისის მოწინავე სტატიისადმი, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მაშინ როცა საბჭოთა კავშირს ნამდვილად სურს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა, რაც შეესაბამება მთელი გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, ვაშინგტონი და ბონი მხოლოდ სიტყვით აყენებენ წინადადებებს გერმანიის საკითხზე, საქმით კი ფეშავენ ყოველ წინადადებას, რომლის ნამდვილი მიზანია მისი გადაჭრა.

ანალიზს უკეთებს რა ვაშინგტონის თათბირის შედეგებს გერმანიის საარსებო ეროვნული პრობლემების გადაჭრის ამოცანების მიხედვით, გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ვაშინგტონის თათბირს სრულიად არაფერი არ მოუცია და არც შეეძლო მოეცა, რამდენადაც მის მონაწილეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან გერმანიის გათიშვით და მისი დასავლეთი ნაწილის შეყვანით აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში, გულწრფელად არა სურთ, რომ გერმანიის პრობლემა მოწესრიგდეს თვით გერმანელი ხალხის ინტერესების შესაბამისად მშვიდობიან, დემოკრატიულ საფუძველზე.

რაც შეეხება ოთხმხრივ თათბირს ამ სახით, როგორც იგი წარმოდგენილი ჰქონდათ ვაშინგტონის თათბირის მონაწილეებს, „ნოიეს დოიჩლანდი“ შენიშნავს, რომ ამ თათბირზე არ გაუთვალისწინებიათ გერმანიასთან საბავო ხელშეკრულებისა და გერმანიის გაერთიანების დაუყოვნებლივ ღონისძიებათა საკითხის განხილვა. მას უნდა ჰქონდეს, წერს გაზეთი, შეზღუდული, დასავლეთ სახელმწიფოების მიერ წინასწარ წარმოდგენილი დღის წესრიგი; იგი უნდა გაიმართოს „გვიან პერიოდში“, ე. ი. დასავლეთ გერმანიას არჩევნების შემდეგ. ამრიგად, შენიშნავს გაზეთი, საქმე ეხება პირველ რიგში ადენაუერის რეჟიმისადმი დახმარებას, რასაც თვით დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული პრესა აღიარებს.

ეხება რა დასავლეთის სახელმწიფოების დემაგოგიურ წინადადებას ეგრეთწოდებული „თავისუფალი არჩევნების“ მოწყობის შესახებ, „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს:

მთელ გერმანიაში თავისუფალი არჩევნების მოწყობას წინ უნდა უძღოდეს უწინარეს ყოვლისა შეთანხმება საარჩევნო კანონის შესახებ. და, უფრო მეტიც, ეს შეთანხმება უნდა მოხდეს გერმანელებს შორის, რადგან მათ სურთ არჩევნები. ან იქნებ კვლავ სურთ თავს მოგვახვიონ რომელიმე ქვეყნების წარმომადგენლები, რათა მათ გვიკარნახონ საარჩევნო კანონი? ცნობილია, რომ ბონის ხელისუფლებამ ამას წინათ კვლავ უარყვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადება, რომლის მიზანი იყო შეთანხმების მიღწევა სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ. რას უნდა ნიშნავდეს ასეთ ვითარებაში ბონის ყვირილი „თავისუფალი არჩევნების“ შესახებ? არჩევნება წინასწარ შეუთანხმებლად იმის შესახებ, თუ როგორ და როდის უნდა მოეწყოს იგი, — ასეთი რამ ჯერ მსოფლიოში არავის უნახავს!

სტატიაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ადენაუერის მთავრობის მიერ რეაქციული საარჩევნო კანონის შემუშავება, რომელიც მილიონობით გერმანელს ართმევს საარჩევნო უფლებას, მფარველობა და მხარდაჭერა, რასაც დასავლეთ გერმანიაში უწევენ ფაშისტურ და მილიტარისტულ ძალებს, და ამავე დროს ჭეშმარიტ პატრიოტთა — ადენაუერის მოწინააღმდეგეთა დევნა საკმაოდ ცხადად ახასიათებს იმას, თუ რას გულისხმობს ადენაუერი „თავისუფალი“ არჩევნების სახით.

ასეთი „არჩევნები“, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ცხადია, მიუღებელია გერმანელი ხალხისათვის. იგი შეუთავსებელია სრულიად გერმანიის არჩევნების ცნებასთან, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს ყველა გერმანელს...

გერმანელი ხალხისათვის მიუღებელია ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის განხილვა იმ სახით, როგორც იგი დაგეგმილია ვაშინგტონსა და ბონში. იგი სრული უფლებით მოითხოვს, რომ ყველა დიდმა სახელმწიფომ ახლა, ბოლოს და ბოლოს, აშკარად თქვას, თუ როგორ უყურებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხს ომის დამთავრებიდან რვა წლის შემდეგ. იგი სრული უფლებით მოითხოვს საზავო ხელშეკრულების შემუშავებას, რომელიც გერმანიას დაუბრუნებდა მის ერთიანობასა და სუვერენიტეტს და უზრუნველყოფდა მის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობას მშვიდობის პირობებში. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა უკვე დიდი ხანია წამოაყენა ასეთი საზავო ხელშეკრულების კონკრეტული პროექტი, რომელიც შეესაბამება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთის სამმა სახელმწიფომ ადენაუერთან ერთად თავისი წინადადება ოთხმხრივი თათბირის მოწვევის შესახებ წარმოადგინა მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო ფენების ზეგავლენით, რომელიც ესწრაფვის ყველა სადავო საერთაშორისო საკითხის მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით.

გერმანელი ხალხის წინაშე. ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ გაზეთი, ამ პირობებში ტალანტი ადენაუერის მთავრობას ადენაუერის მთავრობა როგორც შეთანხმების მთავარი მტერი გერმანიაში, რათა ამით ბოლო მოუღოს ამერიკის აგრესიულ კავშირებთან დასავლეთ გერმანიის შეერთების პოლიტიკას, რათა დიდი სახელმწიფოების თათბირზე განხილულ იქნას გერმანიისათვის ნამდვილად სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები.

ინგლისი

ლონდონი, 26 ივლისი. (საკდესი). ინგლისის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ შინაარსს „პრავდის“ 23 ივლისის მოწინავე სტატიისა „რას მოწმობს ვაშინგტონის თათბირი“ და კომენტარს უკეთებენ ამ სტატიას.

გაზეთები გამოთქვამენ ყოველგვარ მოსაზრებას იმ პასუხის შესახებ, რომელიც შეიძლება საბჭოთა მთავრობამ გასცეს მიწვევაზე საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში მონაწილეობის შესახებ, რომლის დღის წესრიგი შემოფარგლული იქნებოდა გერმანიისა და ავსტრიის პრობლემებით.

გაზეთი „დეილი ექსპრესი“ წერს: „რუსეთმა გვაგრძნობინა, რომ იგი ემხრობა მოლაპარაკებას დიდი ოთხეულის ლიდერებს შორის ყველა გადაუჭრელი მსოფლიო პრობლემის განსახილველად. ეს არის ის, რაც ჩერჩილს სურს“.

რეიტერის სააგენტოს მიმომხილველი სტელნი პრიდლი ატყობინებს: „პრავდა“ საკმაოდ საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ თათბირის წარმოდგენილი დღის წესრიგი (საგარეო საქმეთა მინისტრების ვაშინგტონის თათბირის მიერ. — **რედ.**) არავითარ წინგადადგმულ ნაბიჯს არ წარმოადგენს იმ მდგომარეობასთან შედარებით, რაც იყო გასული წლის სექტემბერში. მაშინ, ისევე როგორც ახლა, დასავლეთის მიერ განსახილველად წარმოდგენილი თემები უმთავრესად ეხებოდა გაერთიანებული გერმანიის მთავრობის შექმნის მიზნით თავისუფალი არჩევნების მოწყობის პირობებს... „პრავდა“ ამტკიცებს, რომ დასავლეთის მიერ გაგზავნილი მიწვევა იყო დიპლომატიური მანევრი იმ ვარაუდით, რომ გამოეცოცხლებინათ დასავლეთის პოლიტიკისადმი შესუსტებული მხარდაჭერა ევროპაში. ეს განსაკუთრებით ეხება დასავლეთ გერმანიას, სადაც სექტემბერში უნდა მოხდეს ახალი ფედერალური მთავრობის არჩევნები, და საფრანგეთს, სადაც მოკავშირეთა გეგმის განხორციელებას ხელს უშლის ის, რომ არა სურთ დაამტკიცონ ხელშეკრულება ევროპის არმიის შესახებ.

რეიტერის სააგენტო, ახასიათებს რა ლონდონის დიპლომატიური წრეების გამოხმაურებას „პრავდის“ მოწინავე სტატიაზე, აღნიშნავს:

თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კამათის მსვლელობაში სოციალისტური ოპოზიციამ ძირითად თეზისად გამოიყენა მტკიცება, რომ ვაშინგტონში სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილება —მოწვეულ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების (ოთხი სახელმწიფოს. — **რედ.**) თათბირი ნიშნავდა იმ პოლიტიკაზე უარის თქმას, რომელსაც ინგლისი წინათ ახორციელებდა.

ამერიკის შეერთებული შტატები

ვაშინგტონი, 26 ივლისი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, „პრავდის“ სარედაქციო სტატია აქ მიაჩნიათ აშკარა წინადადებად — მოეწყოს დიდი ოთხეულის სამშვიდობო კონფერენციები ომის ყველა ძირითად საკითხზე. „ექსპერტები ვაშინგტონში, — წერს კორესპონდენტი, — არაოფიციალურად აცხადებენ, რომ ეს სტატია, როგორც ჩანს, იმის გადაკვრით აღნიშვნაა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ ესწრაფვის ნამდვილი სამშვიდობო კონფერენციის მოწყობას“.

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკდესი). სარედაქციო სტატიაში სათაურით „რუსეთის პასუხი“ გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, ძალიან უარყოფითად აფასებს რა „პრავდის“ სტატიას,

გაიხსნა ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესი

ბუქარესტი, 25 ივლისი. (საკდესი სპეც. კორ). დღეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნა ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესი.

ბუქარესტი გულღიად და სტუმართმოყვარულად შეხვდა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ (ბევრი დელეგაცია ჯერ კიდევ გზაშია). ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული და, როგორც სიყვარულით ამბობენ მცხოვრებლები, გაახალგაზრდავებულია. არ არის ისეთი სახლი, რომელიც კაცს არ მოაგონებდეს ბუქარესტელების, მთელი რუმინელი ხალხის გრძნობებსა და მისწრაფებას — იბრძოლონ მშვიდობისათვის, ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის. შენობებზე, ქუჩებში, მოედნებზე — ყველგან მოჩანს მრავალფეროვანი ალმები, პანოები, ლოზუნგები, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალის ემბლემები.

მშვიდობა და მეგობრობა! —დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ეს მოწოდება, რომელიც მკაფიოდ გამოხატა ბუქარესტის სადღესასწაულო მორთულობამ, საფუძვლად უნდა დაედოს დღეს გახსნილი ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესის მუშაობას.

ის გარემოება, რომ კონგრესში მონაწილეობას იღებენ ქალიშვილები და ჭაბუკები განურჩევლად შეხედულებისა, რასისა, ეროვნებისა და სოციალური წარმოშობისა, კონგრესს ხდის ახალგაზრდობის ნამდვილ ასამბლეად, რომელიც ისწრაფვის დაიცვას მშვიდობა, თავისი სასიცოცხლო უფლებები.

კონგრესის გახსნას სტუმართაგან დაესწრნენ: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დოქტორი პეტრუ გროზა, აკადემიკოსი კ. პარხონი, იკუო ოიამა, ელიზა ბრანკო, კანდელარია როდრიგესი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელი ემილ ოტო.

კონგრესი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟაკ დენიმ.

ერთსულოვნად მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობა ახალგაზრდობის მე-2 მსოფლიო კონგრესის შემდგომ პერიოდში და ახალგაზრდობის ამოცანები მშვიდობისა და თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ტროიან სავულესკუმ.

დღევანდელ სხდომას თავმჯდომარეობენ რენატო ტეზეი (იტალია), ბილ უილმოტი (კანადა), სოლანკაე დიროჟანდე (ნიგერია).

საბჭოს სახელით ჟაკ დენიმ გააკეთა მოხსენება თემაზე — დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობა ახალგაზრდობის მე-2 მსოფლიო კონგრესის შემდგომ პერიოდში და ახალგაზრდობის ამოცანები მშვიდობისა და თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში.

საქონელგაცვლის გაფართოება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბულგარეთს შორის

სოფია, 25 ივლისი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, სოფიაში ხელმოწერილია დამატებითი ოქმი შეთანხმებისა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1953 წლის საქონელგაცვლისა და გადასახდელების შესახებ. ოქმი ითვალისწინებს მიმდინარე წელს ორ ქვეყანას შორის საქონელგაცვლის გაფართოებას 33 პროცენტით.

ბულგარეთი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის ტყავს, მზესუმზირას ზეთს, ახალ და კონსერვირებულ ხილსა და ბოსტნეულს და სხვ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ბულგარეთში შეიტანს მანქანებს, ქიმიკალიებს, სამრეწველო საწარმოთა მოწყობილობასა და სათადარიგო ნაწილებს და სხვ.

ბერლინი, 26 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" დღეს გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის უწყების ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 23 ივლისს სოფიაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბულგარეთს შორის ხელმოწერილ იქნა 1953 წლისათვის საქონელგაცვლისა და გადასახდელთა შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი.

ოქმი ითვალისწინებს მიმდინარე წელს ორივე ქვეყანას შორის საქონელგაცვლის გადიდებას 33 პროცენტით. ბულგარეთი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის ტყავს, მზესუმზირას ზეთს, ბოსტნეულსა და ხილს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ბულგარეთს მიაწვდის მანქანებს, ქიმიკალიებს, მოწყობილობას და სათადარიგო ნაწილებს მანქანათმშენებელი მრეწველობისათვის.

ფასების ახალი შემცირება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 25 ივლისი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მთელი რიგი სასურსათო პროდუქტებისა და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და სამრეწველო საქონლითა და სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით წესდება ფასების შემდეგი შემცირება: ბრინჯისა — 10 პროცენტით, შავი ჩაისა — 50 პროცენტით, ხელოვნური შოკოლადისა — 31 პროცენტით, სარეცხი და ხელის საპნისა — 40 პროცენტით, ხელოვნური ბოჭკოს ქალის ფიწდებისა — 20-37 პროცენტით, საწერი მანქანებისა — 40 პროცენტით, ელექტროლამპებისა — 38 პროცენტით. დადგენილება ძალაში შედის 1953 წლის 27 ივლისიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების აქტივობა ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანის რაიონში

კოპენჰაგენი, 26 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები სულ უფრო მეტ აქტივობას იჩენენ ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანის რაიონებში.

როგორც გაზეთი „ექსტრაბლადეტი" იუწყება, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩრდილოეთ პოლუსის ახლოს ააგეს ახალი სამხედრო-საჰაერო ბაზა, რომელზეც შეიძლება დაეშვან მძიმე ბომბდამშენები.

გაზეთი „ბერლინგსკე აფტენავისი" წერს, რომ როგორც ნორვეგიის პოლარული ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი ხ. უ. სვერდრუპი აცხადებს, ეს სამხედრო-საჰაერო ბაზა აგებულია აისბერგზე, რომლის ფართობი 81 კვადრატულ კილომეტრს უდრის და რომელიც ზღვის დონიდან 50 მეტრ სიმაღლეზეა. ამჟამად ეს უზარმაზარი აისბერგი არის ჩრდილოეთის განედის 86 და 87 გრადუსებს შორის. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში წარმოებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ეს აისბერგი მოძრაობს ელიფსისებრი წრით ჩრდილოეთ პოლუსის მახლობლად.

პროფესორმა სვერდრუპმა დასძინა, რომ შარშან აისბერგზე მოაწყეს მეტეოროლოგიური სადგური და რომ წლის განმავლობაში ამერიკის მრავალი თვითმფრინავი დაეშვა აისბერგზე.

27 ივლისს ხელი მოაწერეს შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე

პეკინი, 26 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იტყობინება:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე მხარეებმა სრულ შეთანხმებას მიაღწიეს კორეაში დაზავების თაობაზე. მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ შეთანხმებას ჯერ ხელს მოაწერენ პანმინჯონში 27 ივლისს დილის 10 საათზე კორეის დროით კორეა-ჩინეთის დელეგაციის მეთაური გენერალი ნამ ირი და მეორე მხარის დელეგაციის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი უილიამ კ. ჰარისონი. შემდეგ შეთანხმება ხელმოსაწერად გაეგზავნებათ კორეის სახალხო არმიის უმაღლეს სარდალს მარშალ კიმ ირ სენსა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალს გენერალ პინ დე-ხუეის, ერთი მხრივ, და გაერთიანებული ერების ჯარების მთავარსარდალს გენერალ მარკ უ. კლარკს, მეორე მხრივ.

მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ დრო, როცა შეთანხმებას ხელს მოაწერენ ორივე მხარის დელეგაციების მეთაურები, იქნება დაზავების შესახებ შეთანხმების ოფიციალური ხელმოწერის დრო.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უკლებლივ ყველა პირობა და დაზავების შესახებ შეთანხმების სხვა პირობები, აგრეთვე მხარეების მიერ შეთანხმებული დანართება და შესწორებანი ძალაში შევა შეთანხმების ოფიციალური ხელმოწერის დროიდან 12 საათის შემდეგ, სახელდობრ 27 ივლისს საღამოს 10 საათზე კორეის დროით.

დაზავება კორეაში
ხელი მოაწერეს შეთანხმებას დაზავების შესახებ

პეკინი, 27 ივლისი. (საკდესი). პეკინის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ დღეს დილით პანმინჯონში ხელი მოაწერეს შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს ერთი მხრივ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა დელეგაციის მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა ჰარისონმა.

შემდეგ რადიომ გადასცა შეთანხმების ტექსტი.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს დილის 10 საათზე ადგილობრივი კორეის დროით. შეთანხმების ხელმოწერის დროიდან 12 საათის შემდეგ ცეცხლი უნდა შეწყდეს.

მარშალ კიმ ირ სენისა და გენერალ პინ დე-ხუეის ბრძანება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ

პეკინი, 27 ივლისი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა გადასცა ცნობა იმის შესახებ, რომ 27 ივლისს პანმინჯონში გენერალმა ნამ ირმა კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების მხრიდან და გენერალმა ჰარისონმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციის მხრიდან ხელი მოაწერეს შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებს.

რადიოსადგურმა გადასცა აგრეთვე კორეის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლის მარშალ კიმ ირ სენისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების სარდლის გენერალ პინ დე-ხუეის ბრძანება კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებისადმი საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება

ფხენიანი, 27 ივლისი. (საკდესი). ფხენიანის რადიომ გადასცა, რომ დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის აღსანიშნავად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა 28 ივლისი გამოაცხადოს არასამუშაო დღედ და მთელ კორეაში გამოიკიდოს სახელმწიფო ალმები.

იზრდება იგალიის კომუნისტური პარტიის გავლენა

რომი, 26 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ 7-8 ივნისის პარლამენტის არჩევნების შემდეგ ვენეციის ოლქში კომუნისტურ პარტიაში შევიდა 1.800 მოქალაქე. ბევრ პროვინციაში იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც შეიტანეს განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ, აღემატება 1952 წელს პარტიაში შესულთა რიცხვს: მაგალითად, აპულიაში პარტიაში შევიდა 8.413 კაცით მეტი, უმბრიაში — 1.677-ით მეტი, აბრუცოში—2.295-ით მეტი, კალაბრიაში — 1.149-ით მეტი და სხვ. ნოვარის პროვინციაში შექმნილია კომპარტიის სამი ახალი სექცია, კატანძაროს პროვინციაში — ორი, პიზის პროვინციაში — ერთი სექცია.

ინგლისის დოკერთა გაფიცვა

ლონდონი, 25 ივლისი. (საკდესი). პრეს ასოციაციაშნის საგენტო იუწყება, რომ ჰულში (იორკშირის საგრაფო) შრომის ცუდი პირობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაიფიცა 4.000-მდე დოკერი.

იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება იკუო ოიამას მიერ მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მიღებასთან დაკავშირებით

პეკინი, 26 ივლისი. (საკდესი). სინხუას საგენტო იტყობინება:

იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მშვიდობისათვის იაპონელ მებრძოლს იკუო ოიამას ულოცავს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის მიღებას. განცხადებაში ნათქვამია:

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება არის არა მარტო პირადი პატივი იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის იკუო ოიამასათვის, არამედ აგრეთვე სასიხარულო მოვლენა მთელი იაპონელი ხალხისათვის, რომელიც მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის". „ეს მოვლენა, — აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, — მძლავრი სტიმული იქნება იაპონიაში მშვიდობისათვის მოძრაობის გასაფართოებლად, რომელიც ვითარდება საერთო ეროვნული მასშტაბით, ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ სიბრძოლეველად".

ჩვენ, ნათქვამია განცხადებაში, გაერთიანდებით მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეებთან და ვიბრძოლებთ საერთაშორისო სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის.

პირობას ვდებთ კიდევ უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ იაპონელი ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე იაპონიის შექმნისათვის. ჩვენ გავაერთიანებთ მოსახლეობის ყველა ფენას მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ მტკიცედ სიბრძოლეველად.

საგაფიცვო მოძრაობა საზღვარგარეთ

რომი. გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ იტალიის სხვადასხვა ქალაქში 24 ივლისს გაიმართა გაფიცვები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მრავალი საწარმოს მშრომელები. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას. ვენეციასა და სამრეწველო ცენტრ პორტო-მარგერში გაიმართა ქმიური მრეწველობის, მინისა და კერამიკული ქარხნების საწარმოთა მუშების გაფიცვა. ქალაქ მესინაში 24 საათს გაფიცული იყვნენ ყველა საწარმოს მშრომელები.

ათენი. 24 ივლისს დაიწყო ეროვნული ბანკის მოსამსახურეთა 48-საათიანი გაფიცვა ბანკის მოსამსახურეთა შესახებ პარლამენტის კომისიის მიერ დამტკიცებული კანონპროექტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ამ კანონით იცვლება ბანკის მოსამსახურეთა დათხოვნის, პენსიათა გაცემისა და სხვა წესები.

25 ივლისი. (საკდესი).

იაპონიის მიწისქვეშეთის სამხედრო-ეკონომიური ბაზის აღდგენა

ლონდონი, 25 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლითაც ნებადართულია კარტელების აღორძინება იაპონიაში.

ცნობილია, რომ იაპონიის მსხვილი მონოპოლიები მიცუის, მიცუბისის, სუმიტომოს ტიპისა, რომლებსაც ახლა სრული სამოქმედო ასპარეზი მიეცათ, იაპონიის მილიტარიზმის სამხედრო-ეკონომიურ ბაზას წარმოადგენდნენ.

ემბარგოს ამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ

ლონდონი, 25 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ბრიტანეთის საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი საბჭოს დირექტორმა როლანდ ბერგერმა გუშინ ბომბეიში განაცხადა, რომ სსრ კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან, აგრეთვე ჩინეთთან ვაჭრობას შეუძლია „მნიშვნელოვნად გააადვილოს" ინგლისისა და დასავლეთ ევროპის საგარეო ვაჭრობის პრობლემათა გადაჭრა. ბერგერმა თქვა, რომ ინგლისელი ექსპორტიორები „გაფაციცებით" ეძებენ ახალ ბაზრებს „ინგლისის ექსპორტის განუწყვეტელ შემცირებასთან" დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ აღნიშნულ ქვეყნებთან ვაჭრობის ემბარგოს „ნაკლები ეკონომიური აზრი" აქვს და რომ მათთან ვაჭრობის საკითხი უდრის საკითხს — „ბუნებრივი თუ არაბუნებრივი საკვდილით მოკვდება ინგლისი".

ბერგერი იყო წევრი ინგლისის არაოფიციალური მისიისა, რომელმაც ამას წინათ ხელი მოაწერა ჩინეთთან სავაჭრო შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებს სავაჭრო ბრუნვას 30 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

კალკუტის ამბების გამო

დელი, 25 ივლისი. (საკდესი). კალკუტის მშრომელებმა ხანგრძლივი გმირული ბრძოლის შედეგად პირველ წარმატებებს მიაღწიეს. დასავლეთ ბენგალიის მთავრობა იძულებული იყო გაეუქმებინა ბრძანება ქალაქში მიტინგებისა და დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ, აგრეთვე გაეთავისუფლებინა საყოველთაო გაფიცვის მთელი რიგი დატატრებული მონაწილენი. მაგრამ კალკუტის წინააღმდეგობის კომიტეტმა, რომელიც ქალაქის ყველა მშრომელს ნებას გამოხატავს, მთავრობის ეს მოქმედება დაახასიათა როგორც არასაკმაო და გამოთქვა მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება განაგრძონ ბრძოლა მანამდე, სანამ ყველა მათი მინიმალური მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება, ესე იგი სანამ ინგლისის ტრამვაის კომპანია არ გაუუქმებს დამატებითს ფასს ტრამვაით მოგზაურობისათვის და სანამ პოლიცია არ გაათავისუფლებს დემონსტრაციებისა და მიტინგების ყველა დატატრებულ მონაწილეს.

გუშინ კალკუტაში გაიმართა მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა კალკუტის წინააღმდეგობის კომიტეტის გადაწყვეტილებანი. მიტინგზე გამოსულნი მტკიცე პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ შეიარაღებული პოლიციელები თავს დაესხნენ პრესის წარმომადგენლებს.

სპორტის ამბები

სურათზე: სახპორტო საზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს 1953 წლის ჩემპიონი კალათბურთში, თბილისის „დინამოს" გუნდი. ფოტო ვ. ზარიძისა.

ფეხბურთი

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „იურგორდენი" (ზვეცია)

25 ივლისი. ზვედ ფეხბურთელთა მორიგი გამოსვლა დედაქალაქის სპარტაკელთა წინააღმდეგ დიდ ინტერესს იწვევდა. შეჯიბრებას 80 ათასზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა.

თამაშის დასაწყისში სპარტაკელებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს „იურგორდენის" საჯარიმო მოედანზე, მაგრამ დამცველებმა იხსნეს თავიანთი კარი. პირველი 45-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპმა იმატა. 24-ე წუთი სპარტაკელთა მორიგი შეტევით აღინიშნა. თავდამსხმელთა ცენტრალური სამეულის მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია ბობრ ივეს დარტყმით და გოლით დაგვირგვინდა.

შვედი ფეხბურთელები ენერგიულად უტევენ სპარტაკელთა საჯარიმო მოედანს. 37-ე წუთზე ხელსაყრელი მომენტი ისარგებლა ქვედების მარცხენა გარემარბმა ედლუნდმა და ზუსტი დარტყმით სპასუხო ბურთი გაიტანა სპაოტაკელთა კარში. ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა. საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკისა" და შვეციის „იურგორდენის" გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

„დინამო" (მოსკოვი) — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.

26 ივლისი. დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრება და მოსკოვის „დინამოს" გუნდები.

პირველი წუთებიდანვე მოედანზე ტემპერამენტი ბრძოლა გაჩაღდა. დასაწყისშივე სტუმრებმა ისარგებლეს „დინამოს" დამცველთა შეცდომით და გახსნეს ანგარიში. 10 წუთის შემდეგ კვლავ ჩეხოსლოვაკმა ფეხბურთელებმა ისახელეს თავი; მარჯვენა გარემარბმა გერტლმ მეორე ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში.

ბრძოლამ უფრო საინტერესო სახე მიიღო. დედაქალაქის დინამოელებმა ზედიზედ მიიტანეს იერიში სტუმრების საჯარიმო მოედანზე. მე-18 წუთზე კოროშუოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა. პირველი ტაიმი დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის გუნდის სასარგებლოდ 2:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა. საერთაშორისო ამხანაგური ასპარეზობა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ და მოსკოვის „დინამოს" გუნდებს შორის დამთავრდა ჩეხოსლოვაკ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)

კვირას სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული ესტუმრა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონს. აქ გაიმართა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" მეორე წრის შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე.

შეჯიბრების პირველი წუთები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა. 24-ე წუთზე კ. გაგნიძე პირისპირ აღმოჩნდა „ლოკომოტივის" მეკარესთან; დარტყმის მომენტში 3. კუბლიცკი ფეხებში ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს და იხსნა თავისი გუნდი გოლისაგან. 5 წუთის შემდეგ 3. კუბლიცკიმ ერთხელ კიდევ გადაარჩინა თავისი გუნდის კარი ა. ლოლობერიძის მიერ დარტყმული ბურთისაგან. ლოკომოტიველებსაც ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 0:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში მოსკოველები თერმომტმტრიანი საჯარიმო დარტყმით დაჯარიმდნენ. სხარტი ნახტომით მეკარემ მოიგერია ბურთი. მე-14, 29-ე და 33-ე წუთზე ა. ლოლობერიძემ, ა. ჭკუასელმა და ნ. სიხარულიძემ სამი ბურთი გაიტანეს „ლოკომოტივის" კარში. დინამოელებმა შეჯიბრება მოიგეს ანგარიშით 3:0.

ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

28 ივლისს საღამოს 8 საათზე საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახ. ბიბლიოთეკაში აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებისათვის მოეწყობა ი. მამაცაშვილის კონსულტაცია თემაზე — „რსდმპ II ყრილობა".

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ლეონიდე გიორგიძე **მელნიკოვი** დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ა. ნ. **ინაური** დაინიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

(საკდესი).

„დინამოს" ჩემპიონები

25 ივლისი. სპორტის მრავალმა მოყვარულმა მოიყარა თავი ამ დღეს კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე, სადაც გაიმართა სასპორტო საზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

საერთო ინტერესს იწვევდა თბილისისა და ტალინის ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. მეორე წუთზე ანგარიში იყო 4:0, მესამეზე — 8:2, მეოთხეზე — 10:4 ტალინის კალათბურთელთა სასარგებლოდ. მალე თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო მე-9 წუთიდან თავიანთ სასარგებლოდ მიჰყავდათ თამაში.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდის სასარგებლოდ 34:25. მეორე ტაიმში თბილისელთა უპირატესობა აშკარა გახდა. მათ მოიგეს ეს პასუხსაგები შეჯიბრება ანგარიშით 74:54. ვაჟთა დინარჩენი გუნდების შეხვედრები დამთავრდა ასეთი ანგარიშით: სარატოვი — მოსკოვი 56:81, კიევი — ლენინგრადი 39:73, რიგა — ბაქო 65:54.

ჩემპიონატის ლიდერმა ქალთა გუნდებს შორის კიევის „დინამომ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა — მოუგო ლენინგრადელ კალათბურთელებს 60:44. დანარჩენ შეხვედრათა შედეგი ასეთია: კიშინიოვი — სვერდლოვსკი 54:42, ბაქო — ყაზანი 37:39, მოსკოვი — რიგა 67:24.

* * *

26 ივლისი. დინამოელ კალათბურთელთა ასპარეზობის უკანასკნელი დღის შეხვედრები დამთავრდა ასეთი ანგარიშით: ვაჟთა გუნდები — ბაქო — თბილისი 60:89, ლენინგრადი — სარატოვი 58:54, ტალინი — კიევი 77:73, მოსკოვი — რიგა 63:53. ქალთა გუნდები — ლენინგრადი — მოსკოვი 16:69, კიშინიოვი — რიგა 36:29, კიევი — ყაზანი 67:35, სვერდლოვსკი — ბაქო 50:43.

ამრიგად, დინამოელ კალათბურთელთა ასპარეზობა დამთავრდა. განვლილმა შეხვედრებმა ცხადყო შეჯიბრების მონაწილეთა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება.

ქალთა გუნდების ბრძოლა დამთავრდა ჟიველთა გამარჯვებით, მათ ყველა შეხვედრა მოიგეს და მოიპოვეს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა, მესამე — კიშინიოვის კალათბურთელთა კოლექტივმა.

მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა შეხვედრები თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა, რომელმაც შვიდი თამაშიდან შვიდივე მოიგო. თბილისის „დინამოს" გუნდმა მოიპოვა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი, მესამეზე — ტალინის კალათბურთელთა კოლექტივი.

გამარჯვებულ გუნდებს საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი ჯილდო — თასები, აგრეთვე დიპლომები და medალები.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება **ბენიამინ ვასილის-ძე გოგუას** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თანამშრომლები იუწყებიან პოლიგრაფგამომცემლობის მთავარი სამმართველოს უფროსის **ბენიამინ ვასილის-ძე გოგუას** გარდაცვალებას.

მეუღლე ეკატერინე, შვილები ნინო, გიორგი, სპარტაკ, რძალი მედეა გოგიშვილები, სიძე ნ. ანდრეევი, შვილიშვილები იურა, სვეტლანა, ცოლისა, ცისანა, ლევან იუწყებიან **გაბრიელ პეტრეს-ძე ომიაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VII, 8 ს. გამოსვენება 30-VII, 6 ს. კამოს ქ. № 75.

„ბლავჩაის" ჩაის ხარისხის შემფასებელი ბიუროს თანამშრომლები იუწყებიან **მარგარიტა გაბრიელის ასულ ხილაგაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-VII, 6 ს. ი. ნიკოლაძის ქ. № 4.

მეუღლე ელპიდა ლეკიშვილი, დები მარიამ, ჰელო, იულია, სიძეები ვ. კოდანაშვილი, გ. ჯავახიშვილი იუწყებიან საქართველოს სს. რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის **კორნელი პორფირეს-ძე ჯუღელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VII, 8 ს. გამოსვენება 30-VII, 6 ს. საბჭოს ქ. № 130.

მეუღლე ქსენია, შვილები ნუნუ, ლილი, დალი, ძმა დიმიტრი, დები ბაბუელა, თამარ ბეჟანიშვილები, ცოლისძმები გიორგი, ამბაკო ბართაიები ოჯახით იუწყებიან **არსენ ბეჟანიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-VII ს. ლეხაინდრაოში (გეგეჭკორის რ.).

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის „შახტომონტაჟის" სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ინჟინერ **გიორგი იოსეფის-ძე ცქიფურიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე თეოლინა, შვილები ვერა, ლიუცია, თამარ, აკაკი, რძალი ნინო, სიძეები გ. ჭელიძე, ე. ბურჭულაძე, შვილიშვილები ლიანა, ნათელა, ცისანა, ლევან იუწყებიან **გაბრიელ პეტრეს-ძე ომიაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-VII სოფ. ძირაგეულში (ამბროლაურის რ.).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-08-67, სამდივნოსი—8-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 8-81-84, მარკსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის 8-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის—8-80-84, ხაბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 8-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 8-73-24, განცხადებების — 8-51-81, გამომშვების — 8-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 8-65-41, სტამბის დირექტორ